საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური

1. შენობის მოწყობილობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა.

2. მიწოდების ადგილია საქართველოს ტერიტორია.

3. ხელშეკრულების ღირებულებაა 600 000,00 ლარი.

4. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებაა 590 071,00 ლარი.

5. **ინტერესის გამოხატვა:** კომპანიებს შეუძლიათ გამოხატონ ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის ინტერესი შემდეგი ფორმით: შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადების გამოქვეყნებიდან **2 (ორი)** სამუშაო დღის განმავლობაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის კანცელარიაში **(ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის N27.)** უნდა წარმოადგინონ წერილი ინტერესის გამოხატვის თაობაზე (დანართ N2-ის მიხედვით), რომელსაც უნდა დაურთონ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4). აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნას ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის (**2 სამუშაო დღე)** ბოლო დღის 18:00 სთ-მდე, არასაიდუმლო ფორმით, დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება;

6. დაინტერესებული პირისათვის დოკუმენტაციის გადაცემა: შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადების გამოქვეყნებიდან **2 (ორი)** სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი უზრუნველყოფს აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პრეტენდენტზე გადაცემას საიდუმლო წესით, ინტერესის გამოხატვის თაობაზე შემოსული წერილის მიღებიდან, მომდევნო სამუშაო დღეს.

7. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადებაში მითითებული წინადადების წარდგენის ვადის ამოწურვამდე, პრეტენდენტებმა ელექტრონულ სისტემაში უნდა წარმოადგინონ რეკვიზიტები და დააფიქსირონ (ხარჯთაღრიცხვა) პრეისკურანტის ჯამური ღირებულება.

8. ელექტრონული პროცედურის დასრულების შემდეგ უმდაბლესი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ ელ. პროცედურუს დასრულებიდან **1 (ერთი)** სამუშაო დღის განმავლობაში საიდუმლოების წესის დაცვით, სპეციალური პენიტენციური სამსახურში უნდა წარმოადგინოს შესაბამისად მომზადებული (ხარჯთაღრიცხვა) პრეისკურანტი და ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია **(წერილში მითითებული უნდა იყოს ელ. პროცედურის (GEO) ნომერი).**

9. ელექტრონულ პროცედურის დასრულებიდან **1 (ერთი)** სამუშაო დღის განმავლობაში (ხარჯთაღრიცხვა) პრეისკურანტის და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომპანია გამოეთიშება შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას და შემსყიდველი გადავა შემდგომ უმდაბლესი ფასის წარმომდგენ კომპანიაზე.

10. შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებამდე ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს ჩაშალოს ან/და შეწყვიტოს ელექტრონული პროცედურა თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე.

11. შემსყიდველი არ არის ვალდებული შესყიდვაში მონაწილე პრედენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებანი, დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეწყვეტის/ჩაშლის გადაწყვეტილება.

12. ელექტრონულ სისტემაში კომპანიის მიერ სავალდებულოა მხოლოდ რეკვიზიტების ატვირთვა. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: პაატა ვარდიაშვილი ტელ: 577285082.

შენიშვნა: შემსყიდველისა და მიმწოდებელს შორის ელ. პროცედურით განხორციელებული შესყიდვის პერიოდში კომპანიის ფორმა N4-ის მოქმედების ვადის გასვლის/შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ველარ შეძლებს მიმწოდებელთან საიდუმლო დოკუმენტაციის წარმოებას, რაც რისკის ქვეშ დააყენებს ხელშეკრულების შესრულებას და გამოიწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ამოქმედებას.